

**მეორე რიგის კერძო წარმოებულებიანი დიფერენციალურ  
განტოლებათა ერთი სისტემის ავტომოდელური  
ამოხსნისა და მისი გამოყენების შესახებ**

მიღებულია მეორე რიგის კერძო წარმოებულებიანი დიფერენციალურ განტოლებათა ერთი სისტემის ავტომოდელური ამონახსნის არსებობის პირობები, რომლებიც ედება ამ დიფერენციალურ განტოლებათა სისტემის კოეფიციენტებს.

მაგალითისათვის განხილულია ფოროვანი უსასრულო კედლის მოძრაობით გამოწვეული ბლანტი არაკუმშვადი გამტარი სითხის მოძრაობის ამოცანა. ავტომოდელობის მოთხოვნა გარკვეულ შეზღუდვებს ადებს, როგორც კედლის გადაადგილების სიჩქარეს, ასევე გაჟონვის სიჩქარესა და გარედან მოდებულ მაგნიტურ ველს.